

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის და კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 3

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

27 დეკემბერი 2017 წელი

13:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე - *გელა ჩიკვაძე*

სხდომას ესწრებოდნენ: *გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა
ტოხვაძე, ოლეგი მიქელთაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, რამაზ არველაძე, კობა
ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე,
ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია.*

*საკრებულოს აპარატის საორგანიზციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო
წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე*

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა: ვარლამ გიორგაძე

დასწრების ფურცელი თან ერთვის/დანართი N1/.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო
მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის
დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გელა ჩიკვაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის
მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების
შესახებ.

/მომხს: გელა ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის მანმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გელა ჩიკვაიძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გელა ჩიკვაიძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გელა ჩიკვაიძე/

6. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: /ივანე მამფორია/

7. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარტის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე.“

მომხს: /ნიკოლოზ დვალიშვილი/

8. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ.“

მომხს: /დავით გაბუნია/

9. „საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ წესდებასა და შემადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.“

მომხს: / გელა ჩიკვაიძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

მომხრე - 15
წინააღმდეგი - არცერთი
დანართი N2

დღის წესრიგის პირველ პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაძე, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშების სისტემის დამტკიცების შესახებ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი თანდართულ დანართებთან ერთად.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა ხომ არ გაქვთ პირველ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე – 15
წინააღმდეგი – არცერთი
დანართი N3

მეორე საკითხად მომხსენებელმა კომისიის წევრებს წარმოუდგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი თანდართულ დანართებთან ერთად.

კომისიის წევრებისგან მეორე პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე – 15
წინააღმდეგი – არცერთი
დანართი N4

დღის წესრიგის მესამე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო

საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაიძე, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევის და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი თანდართულ დანართებთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე – 15

წინააღმდეგი – არცერთი

დანართი N5

დღის წესრიგის მეოთხე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაიძე, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი თანდართულ დანართებთან ერთად.

კომისიის მხრიდან მეოთხე პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

მომხრე – 15

წინააღმდეგი – არცერთი

დანართი N6

დღის წესრიგის მეხუთე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაიძე, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი თანდართულ დანართებთან ერთად.

დღის წესრიგის მეხუთე პროექტთან დაკავშირებით კომისიის მხრიდან შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე – 15
წინააღმდეგი – არცერთი
დანართი N7

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ივანე მამფორია, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განსაზღვრულია 7100,0 ათასი ლარის ოდენობით.

სულ შემოსულობები შეადგენს 7 100 000 ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტით 145 000 ლარია, ხოლო საკუთარი სახსრები 6 955 000 ლარი.

გადასახადები - 500 000 ლარი,

გრანტები - სულ 6 074 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 145 000 ლარი და საკუთარი შემოსავლები 500 000 ლარი.

სხვა შემოსავლები - 425 700 ლარი,

არაფინანსური აქტივების კლება - 100 000 ლარი,

სულ გადასახდელები - 7 100 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 145 000 ლარი და საკუთარი შემოსავლები - 6 955 000 ლარი,

ხარჯები სულ შეადგენს 5 911 000 ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტი 145 000 ლარი, საკუთარი სახსრები 5 766 000 ლარი,

შრომის ანაზღაურება სულ შეადგენს 1 400 000 ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტით 60 000 ლარი და საკუთარი სახსრებით 1 340 000 ლარი,

საქონელი და მომსახურება სულ 1 304 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტი 20 000 ლარი და საკუთარი სახსრები 1 284 000 ლარი,

სუბსიდიები 2 534 000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის 65 000 ლარი საკუთარი სახსრები 2 469 000 ლარი,

გრანტები სულ 2000 ლარი, საკუთარი სახსრები 2000 ლარი,

სოციალური უზრუნველყოფა სულ 654 000 ლარი, საკუთარი სახსრები 654 000 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 1136 000 ლარი, საკუთარი სახსრები 1 136 000 ლარი, ვალდებულებების კლება 53 000 ლარი, საკუთარი სახსრები 53 000 ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საკუთარი შემოსავლები 2018 წლისთვის შეადგენს 2 311 000 ლარს,

თავდაცვისთვის გამოყოფილია 2018 წლისთვის 86 500 ლარი,

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეალიზაცია და ექსპლუატაციისათვის გამოყოფილია 2018 წლისთვის 1 606 100 ლარი,

განათლებისთვის 1184 400 ლარი,

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისთვის 1 183 000 ლარი,

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილია 729 000 ლარი,

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს პირველ პროექტთან დაკავშირებით ხომ არ გაქვთ რაიმე მოსაზრებები.

კომისიის მხრიდან მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული მეექვსე პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე – 15

წინააღმდეგი – არცერთი

დანართი N8

დღის წესრიგის მეშვიდე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი ნიკოლოზ დვალიშვილი, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე და განმარტა, რომ

დამტკიცდეს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები დანართი N1 ის შესაბამისად.

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება დანართი N2 -ის შესაბამისად.

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა თანამდებობრივი რანგების მითითებით დანართი N3-ის შესაბამისად.

ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის N20 დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე (www.matsne.gov.ge.29.06.2017, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016248).

კომისიის წევრებს მეშვიდე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

აღნიშნული პროექტი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე – 15

წინააღმდეგი – არცერთი

დანართი N9

დღის წესრიგის მერვე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით გაბუნია, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ და განმარტა, რომ

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2018 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი N1-ის შესაბამისად,

დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 2018 წლის რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება დანართი N2 -ის შესაბამისად.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის N30 დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, სტრუქტურული ერთეულების და პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2017 წლის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში შედის შემდეგი განყოფილებები:

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება,

საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება,

წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება,

სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური:

საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილება,

ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილება.

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური:

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური:

ინფრასტრუქტურის განყოფილება,

კეთილმოწყობის და ტრანსპორტის განყოფილება,

არქიტექტურის განყოფილება,

ზედამხედველობის სამსახური:

უნებართვო საქმიანობისა და მოსაკრებლების კონტროლის განყოფილება,

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური,

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური,

სამხედრო სამსახური,

ასევე არის ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და შრომითი ანაზღაურება.

განყოფილებები რჩება იგივე შიგ მოხდება თანამშრომლების გადანაცვლებები.

კომისიის წევრება მხარი დაუჭირა აღნიშნულ მერვე პროექტს.

მომხრე – 15
წინააღმდეგი – არცერთი
დანართი N10

დღის წესრიგის მეცხრე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გელა ჩიკვაიძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ წესდებასა და შემადგენლობაში ცვლილების შესახებ“ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N27 53 განკარგულების მესამე პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

1. თავმჯდომარე - კობა ძგნიძე;
2. მოადგილე - გია ოჩხიკიძე;
3. მდივანი - აპოლონ რამიშვილი;

კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი განცხადება.

მომხრე - 15
წინააღმდეგი - არცერთი
დანართი N11

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის და კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გაერთიანებული სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გელა ჩიკვაიძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე